შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში **2024** წლის **31** დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-25

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია 12

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 12

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა 13

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები 19

შენიშვნა 5. სხვა შემოსავლები 20

შენიშვნა 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 20

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები 21

შენიშვნა 8.არამატერიალური აქტივი 22

შენიშვნა 9. მარაგი 22

შენიშვნა 10. სხვა მოთხოვნები 22

შენიშვნა 11. გადახდილი ავანსები 23

შენიშვნა 12. ფული და ფულის ექვივალენტები 23

შენიშვნა 13. კაპიტალი 23

შენიშვნა 14 პირობითი ვალდებულებები დაზღვევა 24

შენიშვნა 15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 24

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 25

შ[illegible]ეუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ხ[illegible]ელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში **2024 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული **წლის ფინანსური ანგარიშგების** მომზადებასა [illegible]ია დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თქვენ მიერ ჩატარებულ, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“**- ს 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის (ფინანსური ანგარიშგება) აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“). ვადასტურებთ, რომ:

შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება 2024 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის (ფინანსური ანგარიშგება) აუდიტორული შეფასების მომსახურებას, როგორც ამას ითვალისწინებდა 2025 წლის 09 ივლისს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება #49 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.

შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც ერთობლიობაში, არსებითი არ არის.

კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით,

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი ასახულია ისეთი თანხით, რაც არ აღემატება სარეალიზაციო ღირებულებას;

ინვენტარიზაციის დროს ადგილი არ ჰქონდა გრძელვადიანი აქტივების შეფასებას, გაუფასურებას და ჩამოწერას.

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:

ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;

თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და

კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.

ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;

მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;

გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:

ხელმძღვანელობა;

თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან

სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

გაგიმჟღავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;

გაცნობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;

გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიას მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე მსს ფასს-ის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
  და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 10.09.2025-ს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ნოდარ კრუნცელიძე

დირექტორი

2025 წლის 10 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამის ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 5,322 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5 322 ათასი ლარი), ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული თანხების ანაზღაურებადობა, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა არსებობს თუ არა აუცილებელი კორექტირების საჭიროება მოთხოვნების თანხების მიმართ, ფინანსური მდგომარეობის და მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. შენიშვნა #10

როგორც განმარტებულია თანდართული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N11-ში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომპენსაციისთვის გადახდილი სახსრები, რათა კომპანიას წვდომა ჰქონოდა მიწის ნაკვეთებზე შემდგომი სამშენებლო სამუშაოებისთვის, აღრიცხულია როგორც ავანსის ნაშთი, ნაცვლად ძირითადი საშუალების თვითღირებულების ნაწილად აღიარებისა, შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ნაკლებადაა წარმოდგენილი 1,952 ათასი ლარით, ხოლო ავანსები ზედმეტადაა წარმოდგენილი 1,952 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერს: 1,952 ათასი ლარით)

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიი“**-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანასური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 30 სექტემბერს გასცა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილ ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის

პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი

მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა ინფორმაციაში ასახულ მონაცემებზე.

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის სხვა ინფორმაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილი ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგებაში მოცემული თანხობრივი ინფორმაცია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ნუგზარ სურმანიძე (რეგ. SARAS-A-953075)

10 სექტემბერი 2025 წელი

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
სხვა შემოსავალი	5	2,228,595	1,667,935
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,428,262)	(2,905,476)
მთლიანი საოპერაციო ზარალი		(2,199,670)	(1,237,541)
საპროცენტო შემოსავალი (დეპოზიტიდან)		189,415	91,775
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(2,010,255)	(1,145,766)
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული ზარალი საანგარიშგებო წლისთვის		(2,010,255)	(1,145,766)

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი
ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	42,795,378	42,502,134
არამატერიალური აქტივები	8	1,307,761	1,535,221
სხვა გრძელვადიანი აქტივები		170,172	170,172
სულ გრძელვადიანი აქტივები		**44,273,312**	**44,207,528**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	619,703	304,369
გადასახადები გარდა მოგებისა.		87,682	946,763
სხვა მოთხოვნები	10	5,322,855	5,322,442
გადახდილი ავანსები	11	1,952,264	1,952,264
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	1,819,676	756,569
სულ მიმდინარე აქტივები		**9,802,180**	**9,282,407**
სულ აქტივები		**54,075,492**	**53,489,935**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		23,884,314	23,880,762
გადახდილი კაპიტალი		32,647,364	6,185,335
გაუნაწილებელი მოგება		(2,489,190)	(478,935)
სულ კაპიტალი	13	**54,042,488**	**29,587,163**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება		-	23,849,123
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**23,849,123**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		9,615	21,201
გადასახადები გარდა მოგებისა		23,389	32,449
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**33,004**	**53,649**
მთლიანი ვალდებულებები		**33,004**	**23,902,772**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**54,075,492**	**53,489,935**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო
ბუღალტერი

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადახდილი კაპიტალი	სულ
01 იანვარი 2023	19,195,509	666,831	3,173,320	23,035,660
გადახდილი კაპიტალი			3,012,016	3,012,016
მოგება წლის განმავლობაში		(1,145,766)		(1,145,766)
საწესდებო კაპიტალი	4,685,253			4,685,253
31 დეკემბერი, 2023	23,880,762	(478,935)	6,185,336	29,587,162
გადახდილი კაპიტალი			26,462,029	26,462,029
მოგება წლის განმავლობაში		(2,010,255)		(2,010,255)
საწესდებო კაპიტალი	3,552			3,552
31 დეკემბერი, 2024	23,884,314	(2,489,191)	32,647,365	54,042,488

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
პერიოდის შედეგი	(2,010,255)	(1,145,767)
კორექტირებები:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,282,313	1,196,800
საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნებამდე დეპოზიტებზე	189,415	91,775
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**461,473**	**142,808**
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(413)	83
(ზრდა)/შემცირება მარაგებში	(315,335)	(251,934)
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	(11,585)	15,607
ზრდა/(შემცირება) სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	850,022	(770,116)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**984,162**	**(863,551)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**984,162**	**(863,551)**
მიღებული პროცენტები	(189,415)	(91,775)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,344,055)	(5,640,024)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4,042)	(1,532,528)
ცვლილებები გრძელვადიანი ვალდებულებებში ავანსებში	(23,849,123)	605,403
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(26,386,636)**	**(6,658,924)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,552	4,685,253
გადახდილი კაპიტალის ზრდა	26,462,029	3,012,016
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**26,465,581**	**7,697,269**
ფული და ფულის ექვივალენტების წეტო ცვლილება	**1,063,107**	**174,794**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**756,569**	**581,775**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,819,676**	**756,569**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო
ბუღალტერი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (ყოფილი შპს „ჰიგიენა“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც განმარტებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, დაარსებულია 2009 წლის 18 ივნისს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 245626684.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი ვ. გორგასლის ქ. N124.

წესდების მიხედვით კომპანიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობის, ოპერირებისა და დახურვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი, კერძოდ აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის გახორციელება. პროექტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები (სანიტარული ნაგავსაყრელი დამხმარე ობიექტებთან ერთად) აჭარის რეგიონში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის ტერიტორიის მახლობლად მიმდინარეობდა, პროექტი დაიწყო 2019 წლის პირველ ნახევარში და აღნიშნული პროექტი დასკვნით ეტაპზეა. პროექტის სამუშაოებს ასრულებს Goksin Insaat LTD 6 987 000 ათასი ევროს ღირებულებით, ტენდერში გამარჯვების შედეგად. შესრულებული სამუშაოს მოცულობა, რომელიც განისაზღვრება შუალედური გადახდის სერთიფიკატით (IPC) პირდაპირ გადაეცემა (მოიცავს გრანტის წილს) EBRD-დან Goksin Insaat LTD-ს.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განსახორციელებლად („პროექტი“) აჭარის რეგიონში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გამოყო 3 მილიონი ევროს სესხი საქართველოსთვის (საქართველოს მთავრობა) სანიტარული ნაგავსაყრელისა და დამხმარე ობიექტების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით, რომელიც ასევე თანადაფინანსებულია შვედეთის საერთაშორის განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ 4 მილიონი ევროს გრანტით. სესხის და გრანტის ხელშეკრულებები (ქვესესხის) EBRD-ს და SIDA-ს მიერ გაფორმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს სრულად ფლობდა და კონტროლს უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის 100% წილის მფლობელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ს/ნ 245429200), რაც გულისხმობს ფინანსური თვალსაზრისით შემდეგს, როდესაც კომპანია ვერ გამოიმუშავებს შემოსავალს და ზარალის მომტანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მაინც გააგრძელებს მის მხარდაჭერას და შესაბამისად კომპანია გააგრძელებს საქმიანობას.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის დასაწყისში დაამტკიცა „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომელიც 2015 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა. ახალი კანონის მიზანია, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისთვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. „ნარჩენების მართვის კოდექსი" ითვალისწინებს ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნარჩენების მართვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომლის მონაწილეცაა საქართველო და რომლითაც რეგულირდება გარემოს დაცვის სფერო და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა. ეს კონვენციებია: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის შესახებ, როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და გაეროს ეკონომიკური კომისიის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხის შესახებ (ორჰუსის კონვენცია).

საქართველო საერთაშორისო დონორების დახმარებით ამჟამადაც ახორციელებს და გეგმავს მომავალში პროექტებს გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის სფეროში, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ნარჩენების მართვის, სისტემის და ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად წაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. საღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს:

- საბანკო ნაშთებზე (დეპოზიტებზე) დარიცხული პროცენტს

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით). კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო

პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან რომელიც არ არის გაშლილი ხელის პრინციპით და/ან გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან, რომლებიც, ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% აგროსილ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და წარმომადგენლობით ხარჯებს, დაშვებულ ფარგლებში. კომპანია საშემოსავლო გადასახადებს და საგადასახადო ანგარიშებს ასეთი შემთხვევებისთვის აღრიცხავს როგორც სხვა გადასახადებს გარდა მოგებისა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენობები	50 წელი
ნაგებობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3-22 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება რეტროსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია:

(ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და

(ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 5 წელი.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის, გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე

სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებდი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს წამყვან ქართულ ბანკში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კაპიტალში დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება. ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუშესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს შორის, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განაწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირებული როგორც ვალი ან საკუთარი კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივებისსაბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან.

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი,
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობა;
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა;
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც

მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნები ამოუღებადია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონ-ტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 3) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია -

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო

ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს.

შენიშვნა 5. სხვა შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
ა/რ ეკონომიკის სამინისტროს სუბსიდირება	2,151,574	1,655,804
სხვა შემოსავალი	42,698	1,440
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	27,000	5,950
პირგასამტხელოები ხელშეკრულების პირობების დარვევის	7,320	4,741
სულ სხვა შემოსავლები	**2,228,592**	**1,667,936**

შენიშვნა 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	2,282,313	1,196,800
ხელფასები	1,437,689	1,151,365
ქონების გადასახადი	368,582	345,188
ტრანსპორტირების ხარჯები	191,053	25,797
ოფისის მომარაგება	50,319	22,355
კომუნალური ხარჯები	28,865	22,275
პროფესიული მომსახურებები	20,963	10,924
კომუნიკაციის ხარჯები	11,512	6,170
შესყიდული მომსახურება	10,905	5,450
სხვა საერთო ხარჯი	10,789	1,939
ტრენინგი-გადამზადების ხარჯი	6,564	5,778
სამივლინებო ხარჯი	5,553	17,690
თარგმნის ხარჯი	1,700	1,750
წარმომადგენლობითი ხარჯი	739	668
ოფისის დასუფთავების ხარჯი	715	1,471
სასამართლოს ბაჟი	-	88,584
რემონტი	-	1,276
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**4,428,262**	**2,905,477**

ხელმძღვანელობის სახელით;

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	ნაგებობები	მიმოსვლითი გზები	ტერიტორიის კეთილმოწყობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ბიოლოგიური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება												
იანვარი 1, 2023	**10,452,080**	**25,438,100**	**-**	**44,822**	**1,973,558**	**-**	**5,233**	**28,890**	**18,147**	**102,550**	**35,100**	**38,098,480**
შემოსვლა	-	900,562	4,057,244	16,136,315	2,351,225	3,498,719	2,550	5,739	8,296	4,710,117	12,760	31,683,527
გასვლა	-	(26,043,502)										(26,043,502)
დეკემბერი 31, 2023	**10,452,080**	**295,159.12**	**4,057,244**	**16,181,137**	**4,324,783**	**3,498,719**	**7,783**	**34,629**	**26,443**	**4,812,667**	**47,860**	**43,738,504**
შემოსვლა	-	170,299		504,423			364,119	21,753	51,950	1,726,787	45,777	2,885,108
გასვლა	-	(465,458)	(54,605)	(20,990)								(541,053)
დეკემბერი 31, 2024	**10,452,080**	**-**	**4,002,639**	**16,664,570**	**4,324,783**	**3,498,719**	**371,902**	**56,382**	**78,393**	**6,539,455**	**93,637**	**46,082,559**
დაგროვილი ცვეთა												
იანვარი 1, 2023	-	-		**(4,109)**	-	-	**(1,211)**	**(13,925)**	**(9,661)**	**(11,670)**	-	**(40,576)**
მიმდინარე წლის ცვეთა			(67,621)	(621,965)	(196,600)	(291,560)	(1,290)	(4,606)	(2,370)	(9,782)		(1,195,794)
ცვეთის კლება												-
დეკემბერი 31, 2023	-	-	**(67,621)**	**(626,074)**	**(196,600)**	**(291,560)**	**(2,501)**	**(18,531)**	**(12,031)**	**(21,452)**	-	**(1,236,370)**
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	**(80,690)**	**(763,251)**	**(216,239)**	**(348,971)**	**(2,870)**	**(6,280)**	**(8,125)**	**(624,385)**	-	**(2,050,811)**
ცვეთის კლება												-
დეკემბერი 31, 2024	-	-	**(148,311)**	**(1,389,325)**	**(412,839)**	**(640,531)**	**(5,371)**	**(24,811)**	**(20,156)**	**(645,837)**	-	**(3,287,181)**
ნარჩენი ღირებულება												
იანვარი 1, 2023	**10,452,080**	**25,438,100**		**40,713**	**1,973,558**	-	**4,022**	**14,965**	**8,486**	**90,880**	**35,100**	**38,061,603**
დეკემბერი 31, 2023	**10,452,080**	**295,159**	**3,989,623**	**15,555,063**	**4,128,183**	**3,207,159**	**5,282**	**16,098**	**14,412**	**4,791,216**	**47,860**	**42,502,134**
დეკემბერი 31, 2024	**10,452,080**	-	**3,854,328**	**15,275,245**	**3,911,944**	**2,858,188**	**366,530**	**31,572**	**58,237**	**5,893,618**	**93,637**	**42,795,378**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 8.არამატერიალური აქტივი

	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება		
იანვარი 1, 2023	**4,095**	**4,095**
შემოსვლა	1,532,528	1,532,528
გასვლა	-	-
დეკემბერი 31, 2023	**1,536,623**	**1,536,623**
შემოსვლა	4,042	4,042
გასვლა	-	-
დეკემბერი 31, 2024	**1,540,665**	**1,540,665**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება		
იანვარი 1, 2023	**(396)**	**(396)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(1,006)	(1,006)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2023	**(1,402)**	**(1,402)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(231,502)	(231,502)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2024	**(232,904)**	**(232,904)**
წარჩენი ღირებულება		
იანვარი 1, 2023	**3,699**	**3,699**
დეკემბერი 31, 2023	**1,535,221**	**1,535,221**
დეკემბერი 31, 2024	**1,307,761**	**1,307,761**

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით

შენიშვნა 9. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	569,523	260,249
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	50,181	44,120
სულ მარაგები	**619,703**	**304,369**

შენიშვნა 10. სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	5,322,524	5,322,108
სხვა მოთხოვნები	331	334
სულ სხვა მოთხოვნები	**5,322,855**	**5,322,442**

* აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნას ყოფილი დირექტორისგან (ირაკლი ცეცხლაძე), რომელსაც ბრალად დაედო კომპანიის სახსრების უკანონოდ მითვისება (2016 და 2017 წლებში) 2017 წლის 16 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებით. მას დაეკისრა კომპანიის სასარგებლოდ 5,026,816 ლარის გადახდა. 2018 წლის 5 თებერვალს იქნა ახალი განაჩენი გამოტანილი, სადაც მისი გადასახდელი ვალდებულება გაიზარდა 402,260 ლარით და შეადგინა 5,429,076 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, გადასახდელი თანხის ნაწილი 106,904 ლარის ოდენობით მიღებულ იქნა ირაკლი ცეცხლაძი-სგან აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 11. გადახდილი ავანსები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივებისათვის გადახდილი კომპენსაციები**	1,952,264	1,952,264
სულ გადახდილი ავანსები	**1,952,264**	**1,952,264**

** ნაშთი ძირითადად შეადგენს 2016 და 2017 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადახდილ კომპენსაციებს მიწის ნაკვეთების განთავისუფლებისათვის, რომლებზეც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

შენიშვნა 12. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში დეპოზიტებზე	1,819,676	756,569
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	**1,819,676**	**756,569**

მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს სამ თვემდე ან ნაკლებ ვადაში მოთხოვნად დეპოზიტებს შესყიდვის თარიღიდან.

შენიშვნა 13. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში. კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით და უფლებამოსილია ქონდეს ხმის უფლება ფლობილი წილის პროპორციულად კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე.

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, საწესდებო კაპიტალი შეიცვალა შემდეგნაირად:

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	**19,195,509**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (ძირითადად მიწის ნაკვეთის შეტანა)	4,685,253
საწესდებო კაპიტალის კლება	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,880,762**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (ძირითადად მიწის ნაკვეთის შეტანა)	3,552
საწესდებო კაპიტალის კლება	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**23,884,314**

გადახდილი კაპიტალი

წარდგენილი საწესდებო კაპიტალის მეტობა/(ნაკლებობა) ფაქტიურ შენატანთან აღირიცხება როგორც გადახდილი/(გადაუხდელი) კაპიტალი.

კომპანიაში დამფუძნებლის მიერ პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის (კაპიტალური ტრანსფერის მუხლით) დაფინანსება განხორციელდა: 2024 წელს 2612905 ლარით, ხოლო 2023 წელს 3,012,016 ლარით.

კომპანიამ აღრიცხა პროექტის შესაბამისი ვალდებულება რომელიც უდრის Goksin Insaat LLC თან ხელმოწერილი IPC-ის თანხებს . თუმცა, IPC-ში ნაჩვენები შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდება EBRD-ს მიერ პირდაპირი საბანკო გადარიცხვით Goksin Insaat LLC-ს ანგარიშზე სესხის და გრანტის ხელშეკრულებების შესაბამისად. EBRD-ის მიერ გადახდილი შესაბამისი თანხა მფლობელის სახელით და მისი ინტერესით იგულისხმება როგორც ინვესტიცია კომპანიის საკუთარ კაპიტალში, მფლობელის მიერ EBRD-ს მიმართ მოკორესპონდენტო ვალდებულების გაზრდით.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცვლილების განხორციელების უფლება აქვს პარტნიორს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. აღნიშნულს ადასტურებს საზოგადოების დამტკიცებული წესდების მუხლი 4-ის, 4.1 ქვეპუნქტი, სადაც

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

აღნიშნულია: „საზოგადოების საწესდებო კაპიტალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შეტანის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილებას ღებულობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მინისტრი)“,ამასთან, კომპანიის მენეჯმენტი მზაობას გამოთქვამს საკითხის გადაწყვეტა მოახდინოს პარტნიორთან შეთანხმებით, თუნდაც საკუთარი კაპიტალის ცვლილების შემთხვევაში.

კაპიტალის მართვა

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მართვას (კაპიტალის გაზრდა/შემცირება) ახორციელებს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო).

შენიშვნა 14 პირობითი ვალდებულებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით.

სასამართლო დავა

არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან რომელშიც სამართალდარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საზოგადოება ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ მათი პოზიციის წარმატებულად გატარების შემთხვევაში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სრულად ფლობდა და აკონტროლებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ოპერაციებს ახორციელებს საწარმოებთან რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან მნიშვნელოვან გავლენას განიცდის საქართველოს მთავრობისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან. კომპანიამ აირჩია, რომ გამოიყენოს მსს ფასს სექცია 33-ის გამონაკლისი დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნებისთვის, რომელიც უფლებას იძლევა წარდგენისას შემცირდეს დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნები მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან მიმართებაში.

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ სხვა შემოსავლის და ხარჯების ჯამური ოდენობა და შესაბამისი ნაშთები სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან არ არის მნიშვნელოვანი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

11-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	284,040	299,865
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	284,040	299,865

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხვდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 10 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 4

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 8

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 10

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 11-25

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია.....12

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....12

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....13

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები19

შენიშვნა 5. სხვა შემოსავლები.....20

შენიშვნა 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....20

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები.....21

შენიშვნა 8.არამატერიალური აქტივი.....22

შენიშვნა 9. მარაგი 22

შენიშვნა 10. სხვა მოთხოვნები 22

შენიშვნა 11. გადახდილი ავანსები 23

შენიშვნა 12. ფული და ფულის ექვივალენტები.....23

შენიშვნა 13. კაპიტალი.....23

შენიშვნა 14 პირობითი ვალდებულებები დაზღვევა.....24

შენიშვნა 15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....24

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....25

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თქვენ მიერ ჩატარებულ, **შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-** ს 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის (ფინანსური ანგარიშგება) აუდიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია, აუდიტორების მოსაზრების გამოხატვა იმის შესახებ, წარდგენილია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („მსს ფასს“). ვადასტურებთ, რომ:

შევასრულეთ ჩვენი ვალდებულებები, რომლებიც ეხება 2024 წელს გაწეული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის (ფინანსური ანგარიშგება) აუდიტორული შეფასების მომსახურებას, როგორც ამას ითვალისწინებდა 2025 წლის 09 ივლისს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება #49 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად.

სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები გონივრულია. დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობები და ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად არის აღრიცხული და განმარტებით შენიშვნებში ასახული.

ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ მომხდარი ყველა მოვლენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან განმარტებით შენიშვნებში ასახვას, შესაბამისად იქნა გათვალისწინებული.

შეუსწორებელი უზუსტობების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, არც ცალ-ცალკე და არც ერთობლიობაში, არსებითი არ არის.

კომპანიამ შეასრულა ხელშეკრულების ყველა ასპექტი, რომლის დარღვევასაც შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას ადეკვატური საკუთრების უფლება გააჩნია ყველა აქტივზე; ადგილი არ ჰქონია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადების შემთხვევას, ან კომპანიის აქტივების დატვირთვას სხვა სახით,

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგი ასახულია ისეთი თანხით, რაც არ აღემატება სარეალიზაციო ღირებულებას;

ინვენტარიზაციის დროს ადგილი არ ჰქონდა გრძელვადიანი აქტივების შეფასებას, გაუფასურებას და ჩამოწერას.

აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია

ჩვენ თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ:

ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა საკითხები;

თქვენ მიერ აუდიტის მიზნებისათვის მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია; და

კომპანიაში იმ პირებთან შეუზღუდავი კონტაქტის შესაძლებლობა, ვისგანაც, თქვენი აზრით, მიზანშეწონილი იყო აუდიტორული მტკიცებულებების მიღება.

ყველა ოპერაცია ასახულია სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში;

მოგაწოდეთ ჩვენი შეფასების შედეგები იმის რისკისა, რომ თაღლითობის გამო შეიძლება ფინანსური ანგარიშგება არსებითად მცდარი იყოს;

გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი სრული ინფორმაცია თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეეძლო გავლენის მოხდენა სამეურნეო სუბიექტზე და რაშიც მონაწილეობდნენ:

ხელმძღვანელობა;

თანამშრომლები, რომლებიც შიდა კონტროლთან მიმართებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ; ან

სხვები, როდესაც თაღლითობას შეეძლო არსებითი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

გაგიმჟღავნეთ თაღლითობის ბრალდებებთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახდენს გავლენას და გვაცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვებმა;

გაცნობეთ კანონმდებლობის დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ყველა ცნობილი შემთხვევა, რომელთა გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;

გაგიმჟღავნეთ ჩვენთვის ცნობილი, სამეურნეო სუბიექტის დაკავშირებული მხარეების ვინაობა და გაცნობეთ დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის შესახებ.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიას მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე მსს ფასს-ის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
  და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 10.09.2025-ს.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ნოდარ კონცელიძე

დირექტორი

2025 წლის 10 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამის ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 5,322 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5 322 ათასი ლარი), ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული თანხების ანაზღაურებადობა, შესაბამისად ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა არსებობს თუ არა აუცილებელი კორექტირების საჭიროება მოთხოვნების თანხების მიმართ, ფინანსური მდგომარეობის და მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილების შესახებ და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების შესაბამის ელემენტებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. შენიშვნა #10

როგორც განმარტებულია თანდართული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N11-ში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის კომპესაციისთვის გადახდილი სახსრები, რათა კომპანიას წვდომა ჰქონოდა მიწის ნაკვეთებზე შემდგომი სამშენებლო სამუშაოებისთვის, აღრიცხულია როგორც ავანსის ნაშთი, ნაცვლად ძირითადი საშუალების თვითღირებულების ნაწილად აღიარებისა, შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ნაკლებადაა წარმოდგენილი 1,952 ათასი ლარით, ხოლო ავანსები ზედმეტადაა წარმოდგენილი 1,952 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერს: 1,952 ათასი ლარით)

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიი“**-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანასური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ფინანსურ ანგარიშგებაზე 2024 წლის 30 სექტემბერს გასცა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილ ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ანგარიშგებაში,

გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“** უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს **„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“** ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა ინფორმაციაში ასახულ მონაცემებზე.

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის სხვა ინფორმაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილი ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგებაში მოცემული თანხობრივი ინფორმაცია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ნუგზარ სურმანიძე (რეგ. SARAS-A-953075)

10 სექტემბერი 2025 წელი

	შენიშვნა	**2024 წელი**	**2023 წელი**
სხვა შემოსავალი	**5**	2,228,595	1,667,935
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**6**	(4,428,262)	(2,905,476)
მთლიანი საოპერაციო ზარალი		**(2,199,670)**	**(1,237,541)**
საპროცენტო შემოსავალი (დეპოზიტიდან)		189,415	91,775
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		**(2,010,255)**	**(1,145,766)**
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული ზარალი საანგარიშგებო წლისთვის		**(2,010,255)**	**(1,145,766)**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**7**	42,795,378	42,502,134
არამატერიალური აქტივები	**8**	1,307,761	1,535,221
სხვა გრძელვადიანი აქტივები		170,172	170,172
სულ გრძელვადიანი აქტივები		**44,273,312**	**44,207,528**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	**9**	619,703	304,369
გადასახადები გარდა მოგებისა.		87,682	946,763
სხვა მოთხოვნები	**10**	5,322,855	5,322,442
გადახდილი ავანსები	**11**	1,952,264	1,952,264
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	**12**	1,819,676	756,569
სულ მიმდინარე აქტივები		**9,802,180**	**9,282,407**
სულ აქტივები		**54,075,492**	**53,489,935**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		23,884,314	23,880,762
გადახდილი კაპიტალი		32,647,364	6,185,335
გაუნაწილებელი მოგება		(2,489,190)	(478,935)
სულ კაპიტალი	**13**	**54,042,488**	**29,587,163**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულება		-	23,849,123
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**23,849,123**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		9,615	21,201
გადასახადები გარდა მოგებისა		23,389	32,449
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		**33,004**	**53,649**
მთლიანი ვალდებულებები		**33,004**	**23,902,772**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		**54,075,492**	**53,489,935**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადახდილი კაპიტალი	სულ
01 იანვარი 2023	**19,195,509**	**666,831**	**3,173,320**	**23,035,660**
გადახდილი კაპიტალი			3,012,016	**3,012,016**
მოგება წლის განმავლობაში		(1,145,766)		**(1,145,766)**
საწესდებო კაპიტალი	4,685,253			**4,685,253**
31 დეკემბერი, 2023	**23,880,762**	**(478,935)**	**6,185,336**	**29,587,162**
გადახდილი კაპიტალი			26,462,029	**26,462,029**
მოგება წლის განმავლობაში		(2,010,255)		**(2,010,255)**
საწესდებო კაპიტალი	3,552			**3,552**
31 დეკემბერი, 2024	**23,884,314**	**(2,489,191)**	**32,647,365**	**54,042,488**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო
ბუღალტერი

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024	2023
პერიოდის შედეგი	(2,010,255)	(1,145,767)
კორექტირებები:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2,282,313	1,196,800
საპროცენტო შემოსავალი მოთხოვნებამდე დეპოზიტებზე	189,415	91,775
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**461,473**	**142,808**
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(413)	83
(ზრდა)/შემცირება მარაგებში	(315,335)	(251,934)
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში	(11,585)	15,607
ზრდა/(შემცირება) სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	850,022	(770,116)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**984,162**	**(863,551)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**984,162**	**(863,551)**
მიღებული პროცენტები	(189,415)	(91,775)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,344,055)	(5,640,024)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(4,042)	(1,532,528)
ცვლილებები გრძელვადიანი ვალდებულებებში ავანსებში	(23,849,123)	605,403
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(26,386,636)**	**(6,658,924)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,552	4,685,253
გადახდილი კაპიტალის ზრდა	26,462,029	3,012,016
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**26,465,581**	**7,697,269**
ფული და ფულის ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**1,063,107**	**174,794**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**756,569**	**581,775**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1,819,676**	**756,569**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია და მისი საქმიანობა

„აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ (ყოფილი შპს „ჰიგიენა“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც განმარტებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში, დაარსებულია 2009 წლის 18 ივნისს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 245626684.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი ვ. გორგასლის ქ. N124.

წესდების მიხედვით კომპანიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობის, ოპერირებისა და დახურვის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი, კერძოდ აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის გახორციელება. პროექტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები (სანიტარული ნაგავსაყრელი დამხმარე ობიექტებთან ერთად) აჭარის რეგიონში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის ტერიტორიის მახლობლად მიმდინარეობდა, პროექტი დაიწყო 2019 წლის პირველ ნახევარში და აღნიშნული პროექტი დასკვნით ეტაპზეა. პროექტის სამუშაოებს ასრულებს Goksin Insaat LTD 6 987 000 ათასი ევროს ღირებულებით, ტენდერში გამარჯვების შედეგად. შესრულებული სამუშაოს მოცულობა, რომელიც განისაზღვრება შუალედური გადახდის სერთიფიკატით (IPC) პირდაპირ გადაეცემა (მოიცავს გრანტის წილს) EBRD-დან Goksin Insaat LTD-ს.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განსახორციელებლად („პროექტი“) აჭარის რეგიონში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) გამოყო 3 მილიონი ევროს სესხი საქართველოსთვის (საქართველოს მთავრობა) სანიტარული ნაგავსაყრელისა და დამხმარე ობიექტების მშენებლობის თანადაფინანსების მიზნით, რომელიც ასევე თანადაფინანსებულია შვედეთის საერთაშორის განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ 4 მილიონი ევროს გრანტით. სესხის და გრანტის ხელშეკრულებები (ქვესესხის) EBRD-ს და SIDA-ს მიერ გაფორმდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს სრულად ფლობდა და კონტროლს უწევდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით.

საოპერაციო გარემო

კომპანიის 100% წილის მფლობელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ს/ნ 245429200), რაც გულისხმობს ფინანსური თვალსაზრისით შემდეგს, როდესაც კომპანია ვერ გამოიმუშავებს შემოსავალს და ზარალის მომტანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მაინც გააგრძელებს მის მხარდაჭერას და შესაბამისად კომპანია გააგრძელებს საქმიანობას.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის დასაწყისში დაამტკიცა „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომელიც 2015 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა. ახალი კანონის მიზანია, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისთვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. „ნარჩენების მართვის კოდექსი" ითვალისწინებს ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნარჩენების მართვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომლის მონაწილეცაა საქართველო და რომლითაც რეგულირდება გარემოს დაცვის სფერო და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა. ეს კონვენციებია: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის შესახებ, როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და გაეროს ეკონომიკური კომისიის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხის შესახებ (ორჰუსის კონვენცია).

საქართველო საერთაშორისო დონორების დახმარებით ამჟამადაც ახორციელებს და გეგმავს მომავალში პროექტებს გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის სფეროში, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ნარჩენების მართვის, სისტემის და ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამო-ცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, შესაბამისად კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს:

- საბანკო ნაშთებზე (დეპოზიტებზე) დარიცხული პროცენტს

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით). კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო

პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან რომელიც არ არის გაშლილი ხელის პრინციპით და/ან გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან, რომლებიც, ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% აგროსილ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დარიცხვას კონკრეტულ ოპერაციებზე, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და წარმომადგენლობით ხარჯებს, დაშვებულ ფარგლებში. კომპანია საშემოსავლო გადასახადებს და საგადასახადო ანგარიშებს ასეთი შემთხვევებისთვის აღრიცხავს როგორც სხვა გადასახადებს გარდა მოგებისა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენობები	50 წელი
ნაგებობები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3-22 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება რეტროსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია:

(ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და

(ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 5 წელი.

არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა) შეძენაზე ან გამოშვებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები დაემატება ან გამოაკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, საჭიროებისამებრ, თავდაპირველი აღიარებისას.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეძენაზე პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შემდეგ სამ კატეგორიად იყოფა: რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით (FVPL), დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული (AFS) ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ხასიათსა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი სახსრების შეფასებული სამომავლო მიღების (მათ შორის, გადახდილი ან მიღებული საზღაური და გადახდები, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემია ან ფასდაკლებები) ზუსტად დისკონტირება სავალო ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში, ან, საჭიროებისამებრ, უფრო ხანმოკლე პერიოდში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. სავალო ინსტრუმენტებისთვის შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე

სხვა საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

გადახდილი საგადასახადო ავანსი აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული აუნაზღაურებდი თანხის ანარიცხით. გადასახდელი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აისახება ნომინალური ღირებულებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე **გოჩა აბაშიძე**
დირექტორი **საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი**

2025 წლის 10 სექტემბერი **თამარ ჩხიკვაძე**
ბათუმი, საქართველო **მთავარი ბუღალტერი**

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს წამყვან ქართულ ბანკში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს. თუ კომპანია საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც შეინარჩუნებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, მაშინ კომპანია აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ წილს და დაკავშირებულ ვალდებულებას თანხებზე, რომლის გადახდაც შეიძლება მოუწიოს. თუ კომპანია გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ინარჩუნებს, კომპანია აგრძელებს ამ ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული შემოსავლისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ კომპენსაციის თანხას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კაპიტალში დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება. ფინანსური აქტივის ნაწილის აღიარების შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის უკუშესყიდვის ოფციონს) კომპანია ამ ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს იმ ნაწილს, რომლის აღიარებასაც აგრძელებს ჩართულობის გამო და იმ ნაწილს შორის, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღით ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას, რომელსაც აღარ აღიარებს და ამ ნაწილისთვის მიღებულ კომპენსაციასა და მასზე განაწილებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს შორის, აღიარდება მოგება-ზარალში. კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, აღიარებულ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომელიც აღარ არის აღიარებული, გადანაწილდება ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირებული როგორც ვალი ან საკუთარი კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არის საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულება. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული თანხის ოდენობით, შემცირებული გამოშვების პირდაპირი დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოდინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან.

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე შეფასება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად შეიცვალა ინვესტიციის შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები.

ყველა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამომშვების ან პარტნიორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი,
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობა;
- მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის რეჟიმში გადავა;
- ფინანსური სირთულეების გამო ამ ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივის მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებულ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის. მსგავსი გაუფასურების ზარალი შემდეგ პერიოდებში არ ანულირდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ზარალით პირდაპირ მცირდება ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, როდესაც საბალანსო ღირებულება მცირდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით. როდესაც

მიიჩნევა, რომ სავაჭრო მოთხოვნები ამოუღებადია, ის ანარიცხის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდეგში აღდგენა დაკრედიტდება ანარიცხის ანგარიშზე. ანარიცხის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალში აღიარდება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, როდესაც შემდეგ პერიოდში გაუფასურების ზარალის ოდენობა შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად იქნეს დაკავშირებული გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან, ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება მოგება-ზარალის მეშვეობით, ისე რომ, გაუფასურების ანულირების თარიღით ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც მიიღებოდა გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონ-ტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 3) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე	**გოჩა აბაშიძე**
დირექტორი	**საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი**
2025 წლის 10 სექტემბერი	**თამარ ჩხიკვაძე**
ბათუმი, საქართველო	**მთავარი ბუღალტერი**

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია -

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო

ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს.

შენიშვნა 5. სხვა შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
ა/რ ეკონომიკის სამინისტროს სუბსიდირება	2,151,574	1,655,804
სხვა შემოსავალი	42,698	1,440
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	27,000	5,950
პირგასამტხელოები ხელშეკრულების პირობების დარვევის	7,320	4,741
სულ სხვა შემოსავლები	**2,228,592**	**1,667,936**

შენიშვნა 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	2,282,313	1,196,800
ხელფასები	1,437,689	1,151,365
ქონების გადასახადი	368,582	345,188
ტრანსპორტირების ხარჯები	191,053	25,797
ოფისის მომარაგება	50,319	22,355
კომუნალური ხარჯები	28,865	22,275
პროფესიული მომსახურებები	20,963	10,924
კომუნიკაციის ხარჯები	11,512	6,170
შესყიდული მომსახურება	10,905	5,450
სხვა საერთო ხარჯი	10,789	1,939
ტრენინგი-გადამზადების ხარჯი	6,564	5,778
სამივლინებო ხარჯი	5,553	17,690
თარგმნის ხარჯი	1,700	1,750
წარმომადგენლობითი ხარჯი	739	668
ოფისის დასუფთავების ხარჯი	715	1,471
სასამართლოს ბაჟი	-	88,584
რემონტი	-	1,276
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**4,428,262**	**2,905,477**

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე — **გოჩა აბაშიძე**
დირექტორი — **საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი**

2025 წლის 10 სექტემბერი — **თამარ ჩხიკვაძე**
ბათუმი, საქართველო — **მთავარი ბუღალტერი**

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	ნაგებობები	მიმოსვლითი გზები	ტერიტორიის კეთილმოწყობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ბიოლოგიური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება												
იანვარი 1, 2023	**10,452,080**	**25,438,100**	**-**	**44,822**	**1,973,558**	**-**	**5,233**	**28,890**	**18,147**	**102,550**	**35,100**	**38,098,480**
შემოსვლა	-	900,562	4,057,244	16,136,315	2,351,225	3,498,719	2,550	5,739	8,296	4,710,117	12,760	31,683,527
გასვლა	-	(26,043,502)										(26,043,502)
დეკემბერი 31, 2023	**10,452,080**	**295,159.12**	**4,057,244**	**16,181,137**	**4,324,783**	**3,498,719**	**7,783**	**34,629**	**26,443**	**4,812,667**	**47,860**	**43,738,504**
შემოსვლა	-	170,299		504,423			364,119	21,753	51,950	1,726,787	45,777	2,885,108
გასვლა	-	(465,458)	(54,605)	(20,990)								(541,053)
დეკემბერი 31, 2024	**10,452,080**	**-**	**4,002,639**	**16,664,570**	**4,324,783**	**3,498,719**	**371,902**	**56,382**	**78,393**	**6,539,455**	**93,637**	**46,082,559**
დაგროვილი ცვეთა												
იანვარი 1, 2023	**-**	**-**		**(4,109)**	**-**	**-**	**(1,211)**	**(13,925)**	**(9,661)**	**(11,670)**	**-**	**(40,576)**
მიმდინარე წლის ცვეთა			(67,621)	(621,965)	(196,600)	(291,560)	(1,290)	(4,606)	(2,370)	(9,782)		(1,195,794)
ცვეთის კლება												-
დეკემბერი 31, 2023	**-**	**-**	**(67,621)**	**(626,074)**	**(196,600)**	**(291,560)**	**(2,501)**	**(18,531)**	**(12,031)**	**(21,452)**	**-**	**(1,236,370)**
მიმდინარე წლის ცვეთა	**-**	**-**	**(80,690)**	**(763,251)**	**(216,239)**	**(348,971)**	**(2,870)**	**(6,280)**	**(8,125)**	**(624,385)**	**-**	**(2,050,811)**
ცვეთის კლება												-
დეკემბერი 31, 2024	**-**	**-**	**(148,311)**	**(1,389,325)**	**(412,839)**	**(640,531)**	**(5,371)**	**(24,811)**	**(20,156)**	**(645,837)**	**-**	**(3,287,181)**
ნარჩენი ღირებულება												
იანვარი 1, 2023	**10,452,080**	**25,438,100**		**40,713**	**1,973,558**	**-**	**4,022**	**14,965**	**8,486**	**90,880**	**35,100**	**38,061,603**
დეკემბერი 31, 2023	**10,452,080**	**295,159**	**3,989,623**	**15,555,063**	**4,128,183**	**3,207,159**	**5,282**	**16,098**	**14,412**	**4,791,216**	**47,860**	**42,502,134**
დეკემბერი 31, 2024	**10,452,080**	**-**	**3,854,328**	**15,275,245**	**3,911,944**	**2,858,188**	**366,530**	**31,572**	**58,237**	**5,893,618**	**93,637**	**42,795,378**

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რიის ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 8.არამატერიალური აქტივი

	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება		
იანვარი 1, 2023	**4,095**	**4,095**
შემოსვლა	1,532,528	1,532,528
გასვლა	-	-
დეკემბერი 31, 2023	**1,536,623**	**1,536,623**
შემოსვლა	4,042	4,042
გასვლა	-	-
დეკემბერი 31, 2024	**1,540,665**	**1,540,665**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება		
იანვარი 1, 2023	**(396)**	**(396)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(1,006)	(1,006)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2023	**(1,402)**	**(1,402)**
მიმდინარე წლის ცვეთა	(231,502)	(231,502)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2024	**(232,904)**	**(232,904)**
ნარჩენი ღირებულება		
იანვარი 1, 2023	**3,699**	**3,699**
დეკემბერი 31, 2023	**1,535,221**	**1,535,221**
დეკემბერი 31, 2024	**1,307,761**	**1,307,761**

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით

შენიშვნა 9. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	569,523	260,249
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	50,181	44,120
სულ მარაგები	**619,703**	**304,369**

შენიშვნა 10. სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	5,322,524	5,322,108
სხვა მოთხოვნები	331	334
სულ სხვა მოთხოვნები	**5,322,855**	**5,322,442**

* აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნას ყოფილი დირექტორისგან (ირაკლი ცეცხლაძე), რომელსაც ბრალად დაედო კომპანიის სახსრების უკანონოდ მითვისება (2016 და 2017 წლებში) 2017 წლის 16 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებით. მას დაეკისრა კომპანიის სასარგებლოდ 5,026,816 ლარის გადახდა. 2018 წლის 5 თებერვალს იქნა ახალი განაჩენი გამოტანილი, სადაც მისი გადასახდელი ვალდებულება გაიზარდა 402,260 ლარით და შეადგინა 5,429,076 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, გადასახდელი თანხის ნაწილი 106,904 ლარის ოდენობით მიღებულ იქნა ირაკლი ცეცხლაძი-სგან აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნა 11. გადახდილი ავანსები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივებისათვის გადახდილი კომპენსაციები**	1,952,264	1,952,264
სულ გადახდილი ავანსები	**1,952,264**	**1,952,264**

** ნაშთი ძირითადად შეადგენს 2016 და 2017 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადახდილ კომპენსაციებს მიწის ნაკვეთების განთავისუფლებისათვის, რომლებზეც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

შენიშვნა 12. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში დეპოზიტებზე	1,819,676	756,569
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	**1,819,676**	**756,569**

მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს სამ თვემდე ან ნაკლებ ვადაში მოთხოვნად დეპოზიტებს შესყიდვის თარიღიდან.

შენიშვნა 13. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში. კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით და უფლებამოსილია ქონდეს ხმის უფლება ფლობილი წილის პროპორციულად კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე.

კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, საწესდებო კაპიტალი შეიცვალა შემდეგნაირად:

ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	**19,195,509**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (ძირითადად მიწის ნაკვეთის შეტანა)	4,685,253
საწესდებო კაპიტალის კლება	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**23,880,762**
საწესდებო კაპიტალის ზრდა (ძირითადად მიწის ნაკვეთის შეტანა)	3,552
საწესდებო კაპიტალის კლება	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	**23,884,314**

გადახდილი კაპიტალი

წარდგენილი საწესდებო კაპიტალის მეტობა/(ნაკლებობა) ფაქტიურ შენატანთან აღირიცხება როგორც გადახდილი/(გადაუხდელი) კაპიტალი.

კომპანიაში დამფუძნებლის მიერ პროექტის სამშენებლო სამუშაოებისთვის (კაპიტალური ტრანსფერის მუხლით) დაფინანსება განხორციელდა: 2024 წელს 2612905 ლარით, ხოლო 2023 წელს 3,012,016 ლარით.

კომპანიამ აღრიცხა პროექტის შესაბამისი ვალდებულება რომელიც უდრის Goksin Insaat LLC თან ხელმოწერილი IPC-ის თანხებს . თუმცა, IPC-ში ნაჩვენები შესრულებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდება EBRD-ს მიერ პირდაპირი საბანკო გადარიცხვით Goksin Insaat LLC-ს ანგარიშზე სესხის და გრანტის ხელშეკრულებების შესაბამისად. EBRD-ის მიერ გადახდილი შესაბამისი თანხა მფლობელის სახელით და მისი ინტერესით იგულისხმება როგორც ინვესტიცია კომპანიის საკუთარ კაპიტალში, მფლობელის მიერ EBRD-ს მიმართ მოკორესპონდენტო ვალდებულების გაზრდით.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ცვლილების განხორციელების უფლება აქვს პარტნიორს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს. აღნიშნულს ადასტურებს საზოგადოების დამტკიცებული წესდების მუხლი 4-ის, 4.1 ქვეპუნქტი, სადაც

აღნიშნულია: „საზოგადოების საწესდებო კაპიტალში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების შეტანის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტილებას ღებულობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მინისტრი)“,ამასთან, კომპანიის მენეჯმენტი მზაობას გამოთქვამს საკითხის გადაწყვეტა მოახდინოს პარტნიორთან შეთანხმებით, თუნდაც საკუთარი კაპიტალის ცვლილების შემთხვევაში.

კაპიტალის მართვა

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მართვას (კაპიტალის გაზრდა/შემცირება) ახორციელებს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო).

შენიშვნა 14 პირობითი ვალდებულებები დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას კომპანიის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით.

სასამართლო დავა

არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან რომელშიც სამართალდარღვევა მოხდა, სამი წელია გასული. ზემოთხსენებული საგადასახადო გარემო ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. საზოგადოება ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისაგან განსხვავებულმა პოზიციამ მათი პოზიციის წარმატებულად გატარების შემთხვევაში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სრულად ფლობდა და აკონტროლებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ოპერაციებს ახორციელებს საწარმოებთან რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან მნიშვნელოვან გავლენას განიცდის საქართველოს მთავრობისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან. კომპანიამ აირჩია, რომ გამოიყენოს მსს ფასს სექცია 33-ის გამონაკლისი დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნებისთვის, რომელიც უფლებას იძლევა წარდგენისას შემცირდეს დაკავშირებული მხარეების განმარტებითი შენიშვნები მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან მიმართებაში.

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ სხვა შემოსავლის და ხარჯების ჯამური ოდენობა და შესაბამისი ნაშთები სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან არ არის მნიშვნელოვანი.

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი

წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც შედის საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში:

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	284,040	299,865
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	284,040	299,865

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხვდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა.

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 10 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნოდარ კონცელიძე
დირექტორი

გოჩა აბაშიძე
საფინანსო -ეკონ. სამსახურის უფროსი

2025 წლის 10 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თამარ ჩხიკვაძე
მთავარი ბუღალტერი